დიდ აბრეშუმის გზაზე

საჰაერო გადაზიდვა

საზღვაო გადაზიდვა

სარკინიგზო გადაზიდვა

საავტომობილო გადაზიდვა

„ყოველი გამოწვევა - გზა წარმატებისკენ!“

– ეს არის საერთაშორისო გადაზიდვების ექსპედიტორულ კომპანია „ა-ლოგის“ სლოგანი.

*მისი სულისჩამდგმელი და დღეს უკვე აღმასრულებელი დირექტორი – **ლია გოგილაშვილი** ჰუმანიტარია, განათლებით ფილოლოგი და მუსიკოსი. უყვარს მოცარტის, როგორც თავად აღნიშნავს, გამჭვირვალე მუსიკა, მაგრამ ოპერა – აუცილებლად იტალიური. მუდმივი სიახლეების ძიებაში ბევრ სირთულეს აწყდება, მაგრამ უკან არასოდეს იხევს. იცის, რომ გადაულახავი წინაღობები არ არსებობს და ყველაზე რთულ მომენტებში ისიც ახსენდება, რომ ქვეყანას თავის ოქროს ხანაში ქალი მართავდა.*

“Any challenge is an opportunity!”

– this is the motto of international freight forwarding company A-LOG.

*Its founder and now CEO **Lia Gogilashvili** studied humanities, namely philology and music. She likes, as she puts it herself, the transparent music of Mozart as well as operas – but they definitely must be Italian. She has to face many obstacles in her constant search for innovation, but she never gives in. She knows that there are no insurmountable challenges, and in the most difficult moments, she remembers that during its golden age, the country was ruled by a woman.*

ALOG on the Great Silk Road

ტრანსპორტის სფეროში დაუგეგმავად აღმოჩნდა – სიტუაციამ მოიტანა, მაგრამ ძალიან მალე მისი ცხოვრების მთავარ საქმედ იქცა. თავდაპირველად ადმინისტრატორის პოზიციით დაიწყო, თუმცა მისი ინტერესის არეალი სულ უფრო იზრდებოდა და საქმიანობაც უფრო მრავალფეროვანი ხდებოდა. 2000 წელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა (A Bureau of Aducation and Culturul Afairs of the US Department of State and IRIS Inc) გამოაცხადა გაცვლითი პროგრამა საქრთველოში ბიზნეს ლიდერებისთვის – ტრენინგი საერთაშორისო გადაზიდვების სფეროში. დაინტერესებულ პირებს უნდა შეევსოთ აპლიკაცია, გამარჯვებულები გასაუბრებაზე გამოვლინდებოდნენ. ლია გოგილაშვილი, იმ დროს ერთ-ერთი სატრანსპორტო კომპანიის რიგითი თანამშრომელი, საუკეთესოთა შორის მოხვდა და ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა ტრენინგზე. სწორედ აქ მიიღო პირველად დიდ სატრანსპორტო კომპანიაში მუშაობის გამოცდილება და გამოიმუშავა აუცილებელი უნარ-ჩვევები. 2 თვის მანძილზე დეტალურად შეისწავლა კერძო კომპანიებთან მუშაობის სპეციფიკაც და ამ დარგში თამაშის წესებიც. საქართველოში დაბრუნების შემდეგ მუშაობა საერთაშორისო საზღვაო კომპანიაში გააგრძელა და როდესაც უკვე საბოლოოდ დარწმუნდა თავის ძალებში და ჩათვალა, რომ საკმარისი გამოცდილება მიიღო, საკუთარი ბიზნესიც მაშინ დაიწყო.

დღეს უკვე წარმატებული კომპანიის მთავარ პოზიტიურ მხარედ კლიენტებისა და პარტნიორებისაგან მოპოვებულ ნდობას მიიჩნევს, ვირტუალურ ურთიერთობას პირად შეხვედრებს ამჯობინებს, ამიტომაც დიდ დროს თვითმფრინავში ატარებს და არასოდეს ამბობს უარს საერთაშორისო კონგრესებსა და შეხვედრებში მონაწილეობაზე. „ა-ლოგის“ სტრატეგიაც მთლიანად კლიენტის ინტერესებიდან გამოდის.

ამ ეტაპზე კომპანიის ძლიერი მხარე საზღვაო გადაზიდვებია, ჩვენ ხომ ზღვის ქვეყანა ვართ. ეს ისტორიული და გეოპოლიტიკური ფაქტორით არის განპირობებული.

2014 წლიდან კომპანია ახალი სტრატეგიით მუშაობს, მუდმივად ვითარდება და სამომავლო გეგმებს არა მხოლოდ ისახავს, არამედ კონკრეტულ ნაბიჯებსაც დგამს. დღეს პრიორიტეტულად ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის მნიშვნელობა მიაჩნია, რაც კიდევ უფრო წინ წამოწევს და გაზრდის საქართველოს, როგორც ტრანზიტული ქვეყნის მნიშვნელობას დიდ აბრეშუმის გზაზე.

She found herself in the transportation field quite unexpectedly, but it would very soon become the main sphere of her life. At first, she worked as an administrator, but her area of interest was constantly growing, and her activities diversifying. In 2000, the U.S. Department of State's Bureau of Education and Cultural Affairs have announced an exchange program for Georgian business leaders for trainings in the field of international transportation. The individuals who were interested simply had to fill in an application form, and those who would be selected then had to go through an interview. Lia Gogilashvili, at that time an ordinary employee of a transportation company, was chosen among the best and sent to the USA for trainings. This is precisely where she got her first experience of working in a large transportation company, and where she acquired the necessary skills for it. For a period of two months, she learned the specifics of working with private companies, and the rules of the game in the transportation field. After returning to Georgia, she continued working for a Worldwide Shipping Line, and when she finally became confident enough and decided that she had acquired enough experience, she started her own business.

Today, she considers the most positive aspect of her successful company to lie in the trust it has earned from its clients and partners; she prefers meeting in person to virtual contact, which is why she spends a lot of time flying, and never declines participating in international Freight Forwarders congresses and meetings. A-LOG's strategy itself is primarily based on clients' interests.

At this stage, the strength of the company is sea transportation. The fact that Georgia is a coastal country has been a historical and geopolitical factor that led to this.

Since 2014, the company has been working on a new strategy; it is constantly evolving and is not only planning future procedures, but taking concrete steps. Today, it sees the construction of the deep sea port in Anaklia as a very significant development for the further establishment of Georgia as an important transit country on the great Silk Road.